სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება № 01-04/23

ქ. ქუთაისი 31. 05. 2018 წ.

უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 30 მაისის № 01-04/22 ბრძანებით შექმნილი სარეგისტრაციო კომისიის მუშაობის წესი

1. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტუტორთა კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 22 მაისის № 01-04/22 ბრძანებით საკონკურსო საბუთების მიღებას, დამუშავებას და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სარეგისტრაციო კომისია.
2. საკონკურსო საბუთების მიღების რეგისტრაციის მიზნით, შეიქმნას სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც უნდა აღინიშნოს: ნუმერაცია, კონკურსანტის სახელი და გვარი, ფაკულტეტი, სპეციალობა, ფურცლების რაოდენობა, თარიღი, დოკუმენტების მიმღების ხელისმოწერა, კონკურსანტის ხელისმოწერა.
3. სარეგისტრაციო ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დალუქული, დამოწმებული უნივერსიტეტის ბეჭდითა და უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით.
4. სარეგისტრაციო კომისია ვალდებულია მიღებული დოკუმენტაცია დაახარისხოს ფაკულტეტებისა მიხედვით.
5. დოკუმეტაციის დამუშავება უნდა დასრულდეს საბუთების მიღების ვადის ამოწურვისთანავე და გადაეცეს საკონკურსო კომისიას.

რექტორი **გიორგი ღავთაძე**